

ბავშვის მატერიალური და სოციალური დანაკლისი


ბავშვის მატერიალური და სოციალური დანაკლისი გულისხმობს ოჯახის ფინანსური შესაძლებლობის არქონას, რაც არ აძლევს ოჯახს საშუალებას, უზრუნველყოს ბავშვი მისი ზრდა-განვითარებისათვის მინიმალურად აუცილებელი საჭიროებებით (საკვები, ტანსაცმელი, ასაკის შესაბამისი წიგნები, სათამაშოები, გართობა, მეგობრებთან დროის გატარების შესაძლებლობა, თუ სხვა). 16 საჭიროებიდან სულ მცირე სამის დანაკლისის მქონე ბავშვების წილი განსაზღვრავს მატერიალური და სოციალური დანაკლისის ინდექსს.

ბავშვის მატერიალური და სოციალური დანაკლისის ინდექსის შემადგენელი საჭიროებები

- 1 რამდენიმე ახალი (არა მეორადი) ტანსაცმელი
- 2 ორი წყვილი ფეხსაცმელი, რომელიც კარგად ერგება
- 3 ნედლი ხილი და ბოსტნეული ყოველდღიურად
- 4 ხორცი, ქათამი, თევზი ან მათი ვეგეტარიანული ეკვივალენტი ყოველდღიურად
- 5 ბავშვის ასაკის შესაფერისი წიგნები სახლში (სასკოლო წიგნების გამოკლებით)
- 6 გასართობი მოწყობილობები ღია ცის ქვეშ
- 7 ოთახის თამაშები
- 8 გართობა/დასვენების რეგულარული აქტივობები
- 9 განსაკუთრებული შემთხვევების აღნიშვნა
- 10 დროდადრო მეგობრების დაპატიჟება სათამაშოდ ან საჭმელად
- 11 მონაწილეობა სასკოლო ექსკურსიებსა და სასკოლო ღონისძიებებში, რაც ჯდება თანხა
- 12 არდადეგები სახლიდან მოშორებით
- 13 დავალიანებები (ქირა, იპოთეკა, კომუნალური გადასახადები და სხვ.)
- 14 ადეკვატურად თბილი სახლი
- 15 კერძო მოხმარებისთვის ავტომობილის ხელმისაწვდომობა
- 16 ინტერნეტის ხელმისაწვდომობა


დანაკლისის სიხშირე მნიშვნელოვნად განსხვავდება ბავშვისა და ოჯახის საჭიროებების მიხედვით.

ბავშვების წილი, ვისაც აქვს საჭიროებების დანაკლისი:




საქართველოში ბავშვების 37.8% პროცენტისთვის ოჯახები ვერ უზრუნველყოფენ სამ ან მეტ საჭიროებას, შესაბამისად, ეს ბავშვები მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონედ შეიძლება ჩაითვალოს. ბავშვების 62.2% არ აქვს მატერიალური და სოციალური დანაკლისი.

ბავშვების წილი მატერიალური და სოციალური დანაკლისით და დანაკლისის გარეშე



ბავშვთა მატერიალური და სოციალური დანაკლისი მაჩვენებლებები უფრო მაღალია სოფლად, ვიდრე ქალაქად, უმნიშვნელოდ განსხვავდება სქესის მიხედვით.

ბავშვის მატერიალური და სოციალური დანაკლისი სოფლის/ქალაქის და სქესის მიხედვით



მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებს დანაკლისის არმქონე ბავშვებთან შედარებით უფრო ხშირად აღენიშნებათ ფუნქციური შეზღუდვები. ისინი დანაკლისის არმქონე ბავშვების თანაბრად არიან წარმოდგენილი ფორმალური განათლების სისტემაში. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებს ნაკლებად აქვთ საშუალება, მოემზადონ კერძო პედაგოგთან და ნაკლებად არიან წარმოდგენილნი სპორტისა და ხელოვნების კლასგარეშე აქტივობებში.

მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებს დანაკლისის არმქონე ბავშვებთან შედარებით უფრო იშვიათად იკვებებიან სკოლის საათებში, მათი ნახევარი კი არასდროს არ ჭამს სკოლის საათებში. მათი მშობლები მეტი ალბათობით აღნიშნავენ სამედიცინო მომსახურების მიღების და მედიკამენტებთან ხელმისაწვდომობის პრობლემას საჭიროების შემთხვევაში.

მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების 60.5% არ ცხოვრობს სიღარიბეში (იგულისხმება აბსოლუტური (მონეტარული) სიღარიბე, რომელსაც ყოველწლიურად განსაზღვრავს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). ამავდროულად, სიღარიბეში მყოფი ბავშვების თითქმის 40% არ არის მატერიალური და სოციალური დანაკლისით. დანაკლისის მქონე ბავშვების ნახევარზე მეტი იღებს ბავშვის მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. მათ მიმართ იმავე სიხშირით გამოიყენება აღზრდის ძალადობრივი მეთოდები, როგორც დანაკლისის არმქონე ბავშვების მიმართ.